

„საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის
ასოციაციის“
წესდება

თბილისი
2017 წელი

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

- 1.1. „საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაცია“ (შემდგომში - ასოციაცია) წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს.
- 1.2. „საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაცია“ წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3 ასოციაციის სრული სახელწოდებაა: „საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაცია“.
- 1.4 ასოციაციის სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, (ასოციაცია)
- 1.5 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N5, მე-9 სართული. e-mail: goua.info@gmail.com .
- 1.6 ასოციაცია თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ასოციაციის ვალდებულებებისთვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აკებენ. ასევე არ აკებს პასუხს ასოციაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.
- 1.7. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 2
ასოციაციის საქმიანობის სფერო და მიზნები

- 2.1 ასოციაციის საქმიანობის სფერო და მიზნებია: გააერთიანოს უროლოგები, ონკოლოგები, სხივური თერაპიის სპეციალისტები, რადიოლოგები, პათოლოგანატომები და ნებისმიერი სხვა სპეციალისტები; ასევე, მეცნიერები, ჯანდაცვის ორგანიზატორები და ნებისმიერი სხვა სპეციალისტები ადამიანები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება უროლონკოლოგიურ დაავადებებს.
- 2.2 უროლონკოლოგიური დაავადებების მულტიდისციპლინარული მკურნალობის მართვის სრულყოფა საქართველოში.
- 2.3. უროლონკოლოგიურ დაავადებათა სამეცნიერო კვლევის ხელისშეწყობა.
- 2.4. საწესდებო მიზნების მისაღწევად ასოციაცია ხელს უწყობს საქართველოში, უროლონკოლოგიაში სამეცნიერო-პრაქტიკული მიღწევების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ მიღწევებთან.
- 2.5 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უროლონკოლოგიური განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.
- 2.6 საორგანიზაციო მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით, თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ ასოციაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან.
- 2.7 ქმნის საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 2.8 ქართული უროლონკოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული დონე შესაბამისობაში მოჰყავს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ მიღწევებთან.
- 2.9 ხელს უწყობს უროლონკოლოგიურ დაავადებათა კვლევაში, მკურნალობასა და მართვაში ჩართულ სპეციალისტთა განათლების დონის სრულყოფასა და თანამედროვე სტანდარტებთან გათანაბრებას.
- 2.10 გაიდლაინების, პროტოკოლოგების, ალგორითმების შემუშავება, სრულყოფა, მოდერნიზება, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- 2.11 უროლოგიური დაავადებათა ტუმორბორდის შექმნა.
- 2.12 უროლოგიური დაავადებათა საექსპერტიზო შემთხვევებში მონაწილეობის მიღება.
- 2.13 უროლოგიაში, ონკოლოგიაში, უროლოგიურ დაავადებათა და სხვა მომიჯნავე სპეციალობის ექიმთა ლიცენზირების პროცესში მონაწილეობის მიღება.
- 2.14 რეზიდენტურის, ფელოუშიფის, ექიმთა დახელოვნების პროგრამების შემუშავებასა და კონტროლს.
- 2.15 უროლოგიური ონკოლოგიაში ექიმთა მომზადების ხელშეწყობას რეზიდენტურის, ფელოუშიფის, სტაჟირების და სხვა მექანიზმების გამოყენებით.
- 2.16 საერთაშორისო და რეგიონული საგანმანათლებლო კონფერენციების მოწყობა.
- 2.17 სახელმწიფო და კერძო სექტორის ჯანდაცვის ორგანიზაციებთან, ან სხვა ნებისმიერ სტრუქტურულ დანაყოფებთან თანამშრომლობა უროლოგიური დაავადებათა მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით.
- 2.18 უროლოგიური დაავადებათა მენეჯმენტის პერსპექტიული სტრატეგიების განსაზღვრას.
- 2.19 სამეცნიერო პრაქტიკული ლიტერატურის, ჟურნალების გამოცემა და ელექტრონული მედიის შექმნა.
- 2.20 ჰაციენტთა ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო მასალების გამოცემა.
- 2.21 ფინანსური სახსრების მოძიება საერთაშორისო და ლოკალური წყაროდან, უროლოგიური დაავადებების სამეცნიერო კვლევებისა და საზოგადოების ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად და იმ დაწესებულებების დასახმარებლად, რომელნიც უროლოგიური დაავადებების მკურნალობითა და სამეცნიერო კვლევებით არიან დაკავებული.
- 2.22 ფუნდამენტური კვლევის დარგის, მედიკოსების და ჯანდაცვის ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა ახალი მიმართულებების შემუშავების, განვითარების და დანერგვის მიზნით.
- 2.23 ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს და რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
- 2.24 ახდენს ქონების დაგროვებას საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის.
- 2.25 ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.
- 2.26 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 3
ასოციაციის დამფუძნებლები

3.1. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

- გურამ ქარაზანაშვილი, (dabadebuli 11.06.1964 wels, registrirebuli misamarTze: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N7 ბინა N1, piradi #01007000307).
- ზაალი კვირიკაშვილი, (დაბადებული 17.08.1978 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: ბაღდათი, ს. წითელხევი; პირადი N09001000188, 3/მ Nგ 1142105).

- ირაკლი ზუმბაძე, (რეგისტრირებული მისამართზე: ქ. ჭიათურა, მ.კოსტავას ქუჩა N21; პირადი ნომერი 54001005052).
- გრიგოლი კალანდია (dabadebuli 07.04.1980 wels, registrirebuli misamarTze: Tbilisi, ვარკეთილი III მ/რ, 1-ლი კორპუსი ბინა N50, piradi #01009000307).
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფონდი მედინვესტი“ - იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ. კორპ. №8. ბ. №69; ს.კ. 401 983 555 ; რეგისტრირებული - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 02/05/2013; წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ლევან ქარაზანაშვილის მიერ(01007011717).

მუხლი 4

ასოციაციის მმართველობითი სტრუქტურები

1. საერთო კრება
2. პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი
3. აღმასრულებელი საბჭო
4. დეპარტამენტები
5. დამფუძნებელთა კრება
6. მრჩეველთა საბჭო (საკონსულტაციო ორგანო)

მუხლი 4.1

საერთო კრების უფლებამოსილებები

4.1.1 ასოციაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა აღმასრულებელი საბჭოს მიერ წელიწადში ერთხელ.

4.1.2 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

4.1.3 ასოციაციის წევრთა საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტს, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება დამფუძნებელთა რეკომენდაციას.

4.1.4 ამტკიცებს ასოციაციის გაწეული საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშს.

4.1.5 იღებს გადაწყვეტილებას წევრის ასოციაციიდან გარიცხვის შესახებ.

4.1.6 იღებს გადაწყვეტილებას საპატიო წევრის სტატუსის მინიჭებაზე.

4.1.7 ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის პროგრამას და ისმენს მისი

ყოველწლიური მუშაობის ანგარიშს.

4.1.8. ამტკიცებს დეპარტამენტების საქმიანობის პროგრამას და ისმენს მათი

ყოველწლიური მუშაობის ანგარიშს.

4.1.9 თუ საერთო კრება არ შედგა 4.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ქვორუმის

არარსებობის გამო, მაშინ აღმასრულებელი საბჭო მეორედ იწვევს საერთო კრებას.

თუ მეორედ მოწვეული საერთო კრებაც არ შედგა ქვორუმის არარსებობის გამო,

მაშინ აღმასრულებელ საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები დღის

წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

4.1.10. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის ან აღმასრულებელი საბჭოს ან ასოციაციის წევრთა 2/3, ან დამფუძნებელთა მოთხოვნით, მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

4.1.11 რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა წინასწარ დადგენილი დღის წესრიგით და სრულდება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვისთანავე.

4.1.12 ყოველწლიური ან რიგგარეშე შეხვედრების თარიღის შეტყობინებას უზრუნველყოფს ასოციაციის მდივანი ერთი თვით ადრე, სადაც მითითებული იქნება სხდომის დრო და ადგილი. რიგგარეშე შეხვედრის დანიშვნის შემთხვევაში მითითებული იქნება სხდომის მიზანი და დღის წესრიგი.

მუხლი 4.2

ასოციაციის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი

4.2.1 ასოციაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ანორცელებს ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ვიცეპრეზიდენტი.

4.2.2 პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის კანდიდატურას წარადგენს დამფუძნებელთა კრება ან ასოციაციის წევრთა 2/3 დადასტურებული ხელმოწერებით და ირჩევს საერთო კრება. პრეზიდენტი წარმოადგენს ასოციაციას სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ასრულებს ყველა მისი თანამდებობის შესაფერის ფუნქციებს.

3. პრეზიდენტი თავჯდომარეობს ასოციაციის შეხვედრებს.

4. ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს.

4.2.5 წყვეტს ასოციაციის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს აღმასრულებელი საბჭოს წევრებს.

4.2.6 ზედამხედველობს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას.

7. ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს.

4.2.8 აღმასრულებელი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

4.2.9 აქვს უფლება მოითხოვოს ასოციაციის რიგგარეშე შეხვედრის და საბჭოს სხდომის ჩატარება.

4.2.10 ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე წარმოადგენს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს.

4.2.11 არის ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი საბჭოს თანამდებობრივი წევრი.

12. პრეზიდენტი ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ რჩება აღმასრულებელი საბჭოს წევრად.

4.2.13 ასოციაციის პრეზიდენტს და ვიცეპრეზიდენტს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.

4.2.14 ასოციაციის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი შესაძლებელია არჩეულ იქნას ზედიზედ 2-ჯერ.

4.2.15 ასოციაციის პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის უფლებამოსილების აღსრულება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის არჩევამდე.

4.2.16 საერთო კრების შემდეგ თუ პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი, ახალი პრეზიდენტის და ვიცეპრეზიდენტის არჩევამდე ვერ ასრულებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, ერთერთი მისი წევრთაგანი ასრულებს საზოგადოების პრეზიდენტის ფუნქციას.

4.2.17 ვიცეპრეზიდენტი პრეზიდენტის რწმუნებით ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ასოციაციის პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს მისი ვიცეპრეზიდენტი.

4.2.18 პრეზიდენტის (ვიცეპრეზიდენტის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის დაყენება საერთო კრების წინაშე, მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელთა კრებას ან წევრთა 2/3.

19. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია:

- გურამ ქარაზანაშვილი, (dabadebuli 11.06.1964 wels, registrirebuli misamarTze: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N7 ბინა N1, piradi #01007000307).

მუხლი 4.3 აღმასრულებელი საბჭო

4.3.1 ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო, რომლის წევრებსაც 4 წლის ვადით, დამფუძნებელთა ან წევრთა 2/3-ის ხელმოწერით დადასტურებული წარდგინებით, ირჩევს საერთო კრება. პრეზიდენტი უფლებამოსილია სარჩევნო ვადის დასრულებამდე დააყენოს საერთო კრების წინაშე აღმასრულებელი საბჭოს წევრის გამოწვევის საკითხი.

4.3.2 პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი ავტომატურად არიან აღმასრულებელი საბჭოს წევრები და ხელმძღვანელობენ ამ ორგანოს.

4.3.3 აღმასრულებელი საბჭოს წევრიები არიან: პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი, ასოციაციის ხაზინადარი და მდივანი.

4.3.4 აღმასრულებელი საბჭო ორგანიზებას უწევს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას

4.3.5 აღმასრულებელი საბჭოს სხდომები იმართება შეთანხმებისამებრ. სხდომა მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან აღმასრულებელი საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასოციაციის პრეზიდენტს გააჩნია ვეტოს უფლება აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებაზე, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწამყვები ხმის მქონეა პრეზიდენტი და მის ხმას ენიჭება უპირატესობა.

4.3.6 აღმასრულებელი საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს ან მასში აღმასრულებელი საბჭოს წევრმა მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების (ინტერნეტი, ტელეფონი, ვიდეო კონფერენცია და სხვ.) გამოყენებით.

4.3.7 აღმასრულებელი საბჭოს უფლება-მოვალეობანი:

4.3.8 . პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და კომპეტენციებს;

4.3.9. იწვევს და ატარებს საერთო კრებას.

4.3.10. ამტკიცებს პრეზიდენტის წარდგინებას ასოციაციის კომიტეტების, კომისიების, სარედაქციო კოლეგიის, დეპარტამენტების და სხვა სტრუქტურული ერთეულების შექმნასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით და ამ სტრუქტურების წევრთა დანიშვნაზე.

4.3.11. აღმასრულებელი საბჭოს თითოეულ წევრს, პრეზიდენტის წარდგინებით და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაზღვრება თავისი კომპეტენციები. აღმასრულებელი საბჭოს თითოეული წევრი, თავის კომპეტენციის საზღვრებში ხელმძღვანელობს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას და მისთვის დაქვემდებარებულ სტრუქტურებს.

4.3.12. აღმასრულებელი საბჭო წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების საკითხებს.

4.3.13. შეიმუშავებს და განახორციელებს ასოციაციის საქმიანობის გეგმას.

4.3.14. საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

4.3.15 საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

- 4.3.16. პრეზიდენტის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს.
- 4.3.17. აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა ხდება ასოციაციის წევრობის შეწყვეტისას.
- 4.3.18. აღმასრულებელი საბჭოს სხდომებში, აქტივობებში, მონაწილეობის მიუღებლობისას და პრეზიდენტის, აღმასრულებელი საბჭოს და ასოციაციის მითითებების, დადგენილებების და წესდების შეუსრულებლობისას.
- 4.3.19. აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს წევრად დროებით ინიშნება ახალი წევრი პრეზიდენტის წარდგინებით და დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით.
- 4.3.20. აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება პრეზიდენტის ინიციატივით და დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით.
- 4.3.21. ხაზინადარი დებულობს და აღრიცხავს საწევრო გადასახადს და სხვა შენატანებს.
- 4.3.22. იხდის ყველა გადასახადს და წარმოუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს ასოციაციას და მის აღმასრულებელ საბჭოს.
- 4.3.23. არის ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი.
- 4.3.24. პასუხისმგებელია ასოციაციის ყველა ფინანსურ საქმიანობაზე.
- 4.3.25. ხელს აწერს ფინანსურ დოკუმენტაციას, პასუხისმგებელია საგადასახადო და სხვა მკონტროლებელ ორგანოებთან.
- 4.3.26. 1000 ლარამდე ლიმიტის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია და განაგებს თავად, უფრო დიდ თანხებზე სჭირდება პრეზიდენტის ვიზირება.
- 4.3.27. გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს აღმასრულებელ საბჭოს.
- 4.3.28. ასოციაციის ხაზინადარის არჩევა ხდება ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე 4 წლის ვადით. მეორე ოთხწლიანი ვადით არჩევა დასაშვებია. მესამე ვადით, აღნიშნულ თანამდებობაზე, მას არა აქვს უფლება წარადგინოს თავისი კანდიდატურა. ასოციაციის ხაზინადარის დამატებითი ფუნქციები განისაზღვრება პრეზიდენტის წარდგინებით, აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
- 4.3.29. ასოციაციის მდივანი. ასოციაციის მდივანი ერთდროულად ასრულებს ასოციაციისა და აღმასრულებელი საბჭოს მდივნის ფუნქციას.
- 4.3.30. აწარმოებს ასოციაციის ოქმებს და ინახავს მათ.
- 4.3.31. ამოწმებს და ადასტურებს ყველა ოფიციალურ აქტს, რომელიც მოითხოვს კანდიდატების გაწევრიანებას.
- 4.3.32. აწარმოებს ოფიციალურ მიმოწერას სხვადასხვა ორგანიზაციებთან.
- 4.3.33. ინახავს და პასუხს აგებს ასოციაციის ბეჭედზე და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციაზე.
- 4.3.34. ასოციაციის მდივნის არჩევა ხდება ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე 4 წლით ვადით. მეორე ოთხწლიანი ვადით არჩევა დასაშვებია. მესამე ვადით, აღნიშნულ თანამდებობაზე, მას არა აქვს უფლება წარადგინოს თავისი კანდიდატურა.
- 4.3.35. ასოციაციის მდივნის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ: დამფუძნებლებს, პრეზიდენტს და ასოციაციის წევრთა 2/3-ს.

მუხლი 4.4

დეპარტამენტები

- 4.4.1. ასოციაციაში შემავალი დეპარტამენტები იქმნება და უქმდება აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 4.4.2. დეპარტამენტის ფუნქცია განისაზღვრება პრეზიდენტისა და აღმასრულებელი საბჭოს მიერ.
- 4.4.3. დეპარტამენტის თავმჯდომარისა და წევრების მოწვევა ხდება უვადოდ, პრეზიდენტის წარდგინებით და საერთო კრების მიერ არჩევით.
- 4.4.4. დეპარტამენტის თავმჯდომარეს არ უნდა ეკავოს სხვა ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტშია აღნიშნულ თანამდებობასთან.

- 4.4.5 დეპარტამენტის თავმჯდომარე ატარებს დეპარტამენტის სხდომებს და თავმჯდომარეობს მას.
- 4.4.6 რეგულარულად აცნობებს აღმასრულებელ საბჭოს და საერთო კრებას დეპარტამენტის მიმდინარე აქტივობებსა და მათ შედეგებს.
- 4.4.7 ფლობს დეპარტამენტის წევრთა სიას.
- 4.4.8 ადგენს ყოველწლიურ ბიუჯეტს და აქვეყნებს დეპარტამენტის ხარჯებს.
- 4.4.9 დეპარტამენტის წევრები: ასრულებენ აღმასრულებელი საბჭოს მიერ დეპარტამენტისადმი დასახულ პროგრამასა და აქტივობას.
- 4.4.10 დეპარტამენტის მიზნები და აქტივობები განისაზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის და მტკიცდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ.
- 4.4.11 დეპარტამენტში გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა მარტივი უმრავლესობით.
- 4.4.12 დეპარტამენტის წევრის დათხოვნა ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, აღმასრულებელი საბჭოს მიერ.
- 4.4.13 დეპარტამენტის წევრის დათხოვნის მიზეზი შესაძლოა გახდეს: მის მიერ დეპარტამენტის სხდომების რეგულარული გაცდენა თავმჯდომარის ინფორმირების გარეშე, ან სხვა სახის დარღვევა.
- 4.4.14 დეპარტამენტის თავმჯდომარის დათხოვნა შეუძლია აღმასრულებელ საბჭოს ან პრეზიდენტის წარდგინებით საერთო კრებას.

მუხლი 4.5

ასოციაციის დამფუძნებელთა კრება

1. ასოციაციის დამფუძნებელთა კრება აფუძნებს ასოციაციას.
2. შეიმუშავებს წესდებას, შეაქვს ცვლილებები წესდებაში.
3. საერთო კრებაზე ასარჩევად წარადგენს ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტს, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს.
4. უფლებამოსილია საერთო კრებაზე დააყენოს ასოციაციის პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, წევრების ან მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის საარჩევნო ვადის დასრულებამდე გამოწვევის საკითხი.
5. ახორციელებს ასოციაციის რეორგანიზაციას ან ლიკვიდაციას.
6. ნებისმიერ საკითხზე დამფუძნებელთა კრების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა დამფუძნებლის თანხმობა.

მუხლი 4.6

ასოციაციის მრჩეველთა საბჭო

- 4.6.1. მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ასოციაციის საკონსულტაციო ორგანოს.
- 4.6.2. მრჩეველთა საბჭო შედგება მედიცინის და საზოგადოების ქართველი და უცხოელი დამსახურებული მოღვაწეებისგან, რომელთა მოწვევა ხდება ასოციაციის დამფუძნებლების, პრეზიდენტის, აღმასრულებელი საბჭოს უმრავლესობის ან საერთო კრების 2/3-ის მიერ.
- 4.6.3. საბჭო კონსულტაციას უწევს ასოციაციას მისი საქმიანობის წარმართვისას.
- 4.6.4. უზრუნველყოფს საზოგადოებრივ მხარდაჭერას და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით ასოციაციის ავტორიტეტის ზრდას.
- 4.6.5. ეხმარება ასოციაციას დემოკრატიული და ეფექტური მართვის პრინციპების დამკვიდრებასა და განხორციელებაში.
- 4.6.6. მხარს უჭერს ასოციაციის ფინანსურ რესურსების მოძიებასა და ეფექტურ ხარჯვაში, დასახული მიზნების მისაღწევად.
- 4.6.7. მხარს უჭერს ასოციაციას სტრატეგიულ დაგეგმარებაში.
- 4.6.8. მრჩეველთა საბჭოს წევრი ირჩევა უვადოდ. მისი გამოწვევა შეუძლია საერთო კრების 2/3 ან დამფუძნებლებს.
- 4.6.9. ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, დეპარტამენტების საქმიანობის ანგარიში, დოკუმენტაცია, მათ შორის ფინანსურიც.
- 4.6.10. მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით

მუხლი 5
ასოციაციის წევრად მიღება

5.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის 5.4., 5.5., 5.6. ან 5.7. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და მის წესდებას.

5.2. ასოციაციის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს. აღმასრულებელი საბჭო წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

5.3 ასოციაციას გააჩნია წევრობის 4 კატეგორია:

საპატიო წევრი

ნამდვილი წევრი

ასოცირებული

წევრი

უმცროსი წევრი

5.4 ასოციაციის საპატიო წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ან საზღვარგარეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მიღწევები ან დამსახურება ონკოლოგიური უროლოგიის როგორც მეცნიერულ, პრაქტიკულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში და გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში აღნიშნული დარგის განვითარების საქმეში. საპატიო წევრად მიღება წყდება ასოციაციის საერთო კრებაზე. პრეზიდენტის, აღმასრულებელი საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს ან დამფუძნებელთა კრების წარდგინების შემდეგ. საპატიო წევრი განთავისუფლებულია საწევრო გადასახადიდან.

5.5 ასოციაციის ნამდვილი წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს კლინიკური ან სამეცნიერო ან საგანმანათლებლო გამოცდილება ონკოლოგიურ უროლოგიაში, სცნობს და იცავს ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, იზიარებს მის მიზნებს, მონაწილეობას ღებულობს ასოციაციის მოღვაწეობის სხვადასხვა მიმართულებაში და იხდის საწევრო გადასახადს. უფლება აქვს თანასწორ საფუძველზე მონაწილეობდეს ასოციაციის მუშაობაში; მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის არჩევნებში; იქნეს არჩეული მმართველობით სტრუქტურებში; ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ასოციაციის მიზნების შესაბამისად; მიმართოს ასოციაციას პროფესიული და იურიდიული დახმარებისათვის, ისარგებლოს ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული ფინანსური სხვა შეღავათებით

5.6 ასოციაციის ასოცირებული წევრი შეიძლება გახდეს სხვადასხვა სამედიცინო და არასამედიცინო დარგის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია ინტერესი უროლოგიურ ონკოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობებში. სცნობს და იცავს ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, იზიარებს მის მიზნებს და იხდის საწევრო გადასახადს.

უფლება აქვს მონაწილეობდეს ყოველწლიურ შეხვედრებში, კონფერენციებში, სემინარებში; მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის არჩევნებში; არჩეული იქნეს მმართველობით სტრუქტურებში; ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ასოციაციის მიზნების შესაბამისად; მიმართოს ასოციაციას იურიდიული დახმარებისათვის, ისარგებლოს ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული ფინანსური სხვა შეღავათებით.

5.7 ასოციაციის უმცროსი წევრი შეიძლება გახდეს სტუდენტი, რეზიდენტი, ექიმი, რომელიც გადის სპეციალიზაციას ან სტაჟირებას აღნიშნულ დარგში, რომელსაც გააჩნია ინტერესი ონკოლოგიურ უროლოგიაში, სცნობს და იცავს ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, იზიარებს მის მიზნებს. უფლება აქვს არჩეული იქნეს ასოციაციის დეპარტამენტებში; ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ასოციაციის მიზნების შესაბამისად; მიმართოს ასოციაციას პროფესიული იურიდიული დახმარებისათვის, ისარგებლოს ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული ფინანსური სხვა შეღავათებით.

5.8 ასოციაციის წევრობის მსურველმა (ნამდვილი, ასოცირებული, უმცროსი) დადგენილი ფორმის განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის მდივანს. წევრად მიღების საკითხს წყვეტს აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

5.9 ასოციაციის წევრობიდან გასვლა თავისუფალია. ასოციაციიდან გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

მუხლი 6

ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

6.1. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას;
- ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;
- ვ) გარდაცვალებისას;

6.2 საერთო კრების გადაწყვეტილებით ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 7

წევრთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
- ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის მმართველ ორგანოებში;
- გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამულ საქმიანობაში;
- დ) ატაროს ასოციაციის ემბლემა.

7.2 ასოციაციის წევრი მოვალეა:

- ა) დაიცვას ასოციაციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
- გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;
- დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ასოციაციის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

მუხლი 8

ასოციაციის ქონება

8.1. ასოციაციის ქონება იქმნება, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

8.2. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 9

ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) რეორგანიზაცია

9.1 ასოციაციის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებლები.

9.3 ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.

9.4 ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოინატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

9.5 დამფუძნებელთა გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეესტრაციის მომენტიდან.

9.6 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ ასოციაციის დამფუძნებლები. ასოციაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვსება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვსება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

9.7 თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეესტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9.8 ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 10

დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის და მარეგისტრირებულ ორგანოში დარეგისტრირების მომენტიდან.

10.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

10.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებელთა ხელმოწერები:

1. გურამ ქარაზანაშვილი

2. შაალი კვირიკაშვილი -----
3. ირაკლი ზუმბაძე -----
4. გრიგოლი კალანდია -----
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირი „ფონდი მედინვესტის „თავმჯდომარე
ლევან ქარაზანაშვილი -----